

ზოგადი დებულებები

1. საქართველოს შემსწავლელ მეცნიერებებში ქართველური ენათმეცნიერება მოიაზრება თუ არა?
პასუხი: დიახ.

2. შეიძლება თუ არა მონაწილეობა ორი სამეცნიერო მიმართულებით?

პასუხი: შეიძლება.

3. შეიძლება თუ არა მონოგრაფიის მოსამზადებლად საგრანტო განაცხადის წარმოდგენა?

პასუხი: კონკურსში წარმოდგენილი პროექტის მიზანი უნდა იყოს ფუნდამენტური სამეცნიერო კვლევა.

ადმინისტრირება

4. ფუნდამენტური კვლევების 2015 წლის კონკურსში ჩვენმა პროექტმა მიიღო 95 ქულა. შეიძლება თუ არა იგივე პროექტი შესწორებით და დამატებით შემოვიტანოთ 2016 წ. კონკურსში?

პასუხი: დიახ. თქვენ შეგიძლიათ იგივე პროექტი წარმოადგინოთ მიმდინარე კონკურსზე, თუ მას მოარგებთ ახალ სააპლიკაციო ფორმებს. ძველი პროექტისა და ქულების გააქტიურება ვერ მოხერხდება, რადგან ამჯერად სხვა ელექტრონულ ბაზაში მოხდება პროექტების წარდგენა, შეცვლილია შეფასების კრიტერიუმები.

5. პროექტი ელექტრონულად უნდა წარსდგეს ფონდში, თუ ამავე დროს ნაბეჭდი სახითაც?

პასუხი: მხოლოდ ელექტრონულად.

პროექტის ხელმძღვანელი

6. საჯარო მოხელეს თუ შეუძლია იყოს პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი?

პასუხი: დიახ, თუ იგი არის დოქტორის ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის მქონე და კვლევას განახორციელებს ისეთ ორგანიზაციაში, რომელსაც დებულებით აქვს განსაზღვრული შესაბამისი მიმართულებით კვლევითი საქმიანობა.

7. შეიძლება რომ კონკურსში მონაწილე პროექტის ხელმძღვანელი იყოს ამავე კონკურსში მონაწილე სხვა პროექტის კოორდინატორი?

პასუხი: დიახ.

8. აუცილებელია თუ არა პროექტის ხელმძღვანელს ეკავოს აკადემიური თანამდებობა?(მაგ. პროფესორი)?

პასუხი: ხელმძღვანელი უნდა იყოს დოქტორი ან მასთან გათანაბრებული პირი. სხვა მოთხოვნებს კონკურსი არ ითვალისწინებს.

9. აუცილებელი არის თუ არა, რომ პროექტის ხელმძღვანელი და კოორდინატორი ოფიციალურად დასაქმებული იყოს წამყვან ან თანამონაწილე ორგანიზაციაში?

პასუხი: არა, არის აუცილებელი.

10. თუ პროექტის ხელმძღვანელს ჯერ არა აქვს განხორციელებული საგრანტო პროექტი, მაგრამ აქვს რიგი აქტივობები კვლევით, თუ მენეჯერულ საქმიანობაში, წინა დაფინანსებული საგრანტო პროექტის არ არსებობა მისთვის ხელისშემშლელი ფაქტორი იქნება?

პასუხი: არა, ეს ხელისშემშლელი არაა.

11. ვარ სადოქტორო კვლევის გრანტის მიმდინარე პროექტის ხელმძღვანელი, შემიძლია თუ არა მონაწილეობა მივიღო კონკურსში ფუნდამენტური კვლევებისათვის როგორც პროექტის ხელმძღვანელმა?

პასუხი: დიახ.

12. დასაშვებია, რომ პროექტის ძირითადი პერსონალი შედგებოდეს ორი ადამიანისაგან - სამეცნიერო ხელმძღვანელისა და კოორდინატორისგან, რომელთაგან ერთ-ერთი არის ახალგაზრდა მკვლევარი ამავდროულად?

პასუხი: დიახ, დასაშვებია.

კოორდინატორი

13. შესაძლებელია თუ არა პროექტის კოორდინატორის ფუნქცია შეითავსოს პროექტის ხელმძღვანელმა ან რომელიმე სხვა ძირითადმა პერსონალმა?

პასუხი: არა, არ შეიძლება.

14. შეიძლება თუ არა ერთიდაიგივე პიროვნება იყოს ორი სხვადასხვა პროექტის კოორდინატორი?

პასუხი: შესაძლებელია პირი, ძირითადი პერსონალიდან იყოს ორი პროექტის კოორდინატორი.

15. არის თუ არა სავალდებულო კოორდინატორს ჰქონდეს სამეცნიერო ხარისხი?

პასუხი: პროექტის კოორდინატორი წარმოადგენს ძირითად პერსონალს და იგი შეიძლება იყოს დოქტორი, დოქტორანტი, მაგისტრი, ან მაგისტრანტი.

16. დასაშვებია, რომ პროექტის კოორდინატორი იყოს მაგისტრანტი?

პასუხი: დიახ, პროექტის კოორდინატორი შეიძლება იყოს მაგისტრანტი.

17. პროექტის კოორდინატორი ძირითადი პერსონალიდან შეიძლება იყოს? და მას ცალკე ხელფასი ენიშნება?

პასუხი: დიახ. კოორდინატორი წარმოადგენს ძირითად პერსონალს (კონკურსის პირობები, მუხლი 3, პუნქტი 3) და მისი შრომა ანაზღაურდება საგრანტო დაფინანსებით.

ახალგაზრდა მეცნიერი

18. შესაძლებელია თუ არა მაგ. ორწლიან პროექტში სხვადასხვა ეტაპზე ჩართული იყოს სხვადასხვა ახალგაზრდა მკვლევარი ძირითადი პერსონალის სახით (მაგ.1 წელი იყოს 1 ახალგაზრდა მკვლევარი, ხოლო მე-2 წლის განმავლობაში მეორე)?

პასუხი: შეიძლება.

19. შეიძლება თუ არა, რომ დოქტორანტი იყოს პროექტის ძირითადი პერსონალი და ამავდროულად, რუსთაველის ფონდში წარადგინოს სადოქტორო საგრანტო პროექტიც?

პასუხი: დიახ, შეიძლება.

20. ახალგაზრდა მეცნიერს, რომელმაც მოიგო ფონდის მიერ დაფინანსებული ახალგაზრდა მეცნიერთა კონკურსის გრანტი 2015 წელს და მუშაობს მიმდინარე 2 წლის განმავლობაში ამ პროექტზე. ამ შემთხვევაში რამდენ პროექტში მონაწილეობის უფლება აქვს ძირითადი პერსონალის სახით ახლად გამოცხადებულ კონკურსებში?

პასუხი: ამ შემთხვევაში ახალგაზრდა მეცნიერს არა აქვს შეზღუდვა მიმდინარე გრანტის გამო.

21. ფუნდამენტური კვლევებისათვის გამოქვეყნებულ გრანტში, ძირითად პერსონალში არსებული მაგისტრის ან დოქტორის ასაკი შეზღუდულია თუ არა?

პასუხი: ფუნდამენტურ კვლევების კონკურსში არ არსებობს რაიმე ასაკობრივი შეზღუდვა. თუმცა არსებობს ახალგაზრდა მეცნიერი ცნება, რაც გულისხმობს, რომ აკადემიური ხარისხის მინიჭებიდან კონკურსის გამოცხადების დღემდე გასულია არაუმეტეს 7 წელი.

22. დოქტორანტმა უნდა წარმოადგინოს თუ არა მაგისტრატურის ან ხუთწლიანი დიპლომი?

პასუხი: არ არის სავალდებულო, საკმარისია ცნობა დოქტორანტურაში სწავლის შესახებ.

23. თუ დოქტორანტს შეჩერებული სტატუსი, შეიძლება თუ არა ჩაითვალოს ახალგაზრდა მეცნიერად?

პასუხი: შეიძლება, მაგრამ პროექტის დაფინანსების შემთხვევაში საგრანტო ხელშეკრულების გაფორმებამდე მან უნდა გაიქტიუროს სტატუსი. ეს ეხება მაგისტრანტსაც.

24. ვარ 50 წლის, სადოქტორო ხარისხი მომენიჭა შარშან, ვითვლება თუ არა ახალგაზრდა მეცნიერად და შემიძლია თუ არა ვიყო პროექტის ხელმძღვანელი?

პასუხი: დიახ, ითვლებით ახალგაზრდა მეცნიერად და შეგიძლიათ იყოთ პროექტის ხელმძღვანელი.

25. პროექტში მინდა ჩავრთო იულისის უნივერსიტეტის მაგისტრანტი, რომელსაც 2016 წლის სექტემბრისათვის უკვე ექნება მაგისტრის ხარისხი. ჩაითვლება თუ არა იგი ახალგაზრდა მკვლევარად პროექტის განმავლობაში, მეექვსე საანგარიშო პერიოდის ჩათვლით?

პასუხი: დიახ, ახალგაზრდა მეცნიერად ჩაითვლება აკადემიური ხარისხის მინიჭებიდან 7 წლის განმავლობაში.

26. აუცილებელია თუ არა მაგისტრანტს ჰქონდეს ნაშრომი?

პასუხი: არა, არ არის აუცილებელი.

პერსონალი

27. ამჟამად ვარ ძირითადი პერსონალის პოზიციაზე საგრანტო პროექტში, რომელიც მთავრდება 2017 წლის აპრილში, მაინტერესებს ახლა გამოცხადებულ კონკურში რამდენ საგრანტო პროექტში მაქვს მონაწილეობის უფლება ძირითადი პერსონალის პოზიციაზე.

პასუხი: მიმდინარე კონკურსზე თქვენ შეგიძლიათ იყოთ ძირითადი პერსონალი მხოლოდ ერთ პროექტში.

28. ძირითად პერსონალში შეიძლება თუ არა სხვადასხვა უნივერსიტეტიდან იყვნენ მონაწილეები?

პასუხი: დიახ, შეიძლება.

29. შეიძლება თუ არა პროექტში ჩართული იყოს ემერიტუსი ძირითადი პერსონალის სახით?

პასუხი: დიახ, შეიძლება.

30. თანამონაწილე ორგანიზაციის წარმომადგენლები აუცილებელია თუ არა იყვნენ ძირითად პერსონალში, თუ საკმარისია მხოლოდ დამხმარეში?

პასუხი: ამ საკითხზე არანაირი შეზღუდვა არ არსებობს. ამას წყვეტს პროექტის ხელმძღვანელი პროექტის მიზნებიდან გამომდინარე.

31. თუ პროექტში ერთ-ერთი ძირითადი პერსონალი არის სხვა ორგანიზაციის წარმომადგენელი, ითვლება თუ არა ეს ორგანიზაცია თანამონაწილედ?

პასუხი: არა.

32. დამხმარე პერსონალის გათვალისწინება აუცილებელია?

პასუხი: არა. დამხმარე პერსონალის არსებობა განისაზღვრება პროექტის საჭიროების მიხედვით.

საპროექტო დოკუმენტაცია

33. სააკლიკაციო ფორმებში რეკომენდირებულია ინგლისური სიტყვების რაოდენობა, ქართული სიტყვებისა კი არა. რეკომენდირებული სიტყვების რაოდენობის დაცვა სავალდებულოა?

პასუხი: სავალდებულოა, რომ დანართი 3-ის - საპროექტო წინადადების გვერდების რაოდენობა ინგლისურ ენაზე არ აღემატებოდეს ჯამში 10 გვერდს (ფორმულების, გრაფიკების, ნახაზების ჩათვლით ასეთის არსებობის შემთხვევაში). მთლიანობაში N 3-10 დანართების ინგლისურ ვერსიების გვერდების რაოდენობა ჯამში არ უნდა აღემატებოდეს 35 გვერდს. წინააღმდეგ შემთხვევაში პროექტი არ განიხილება. რეკომენდირებული სიტყვების რაოდენობა დაგეხმარებათ დაიცვათ ეს პირობა. ქართული ტექსტი შინაარსობრივად სრულ შესაბამისობაში უნდა იყოს ინგლისურ ტექსტთან, რაც განსაზღვრავს მის მოცულობას.

34. პროექტის თავფურცელზე ადრე მიღებულ/მიმდინარე გრანტების ჩამონათვალს წერს სამეცნიერო ხელმძღვანელი?

პასუხი: დიახ. ეს პირდაპირ წერია დანართი N2-ის მე-3 ცხრილის სათაურში: „პროექტის ხელმძღვანელის მონაწილეობა....პროექტებში/გრანტებში“.

35. საპროექტო წინადადების პუნქტების ქვეშ არსებული ინსტრუქციები წაიშალოს თუ ადგილზე დარჩეს?

პასუხი: არ წაშალოთ.

37. საპროექტო წინადადებასა და დანართი 8-ში სიტყვების რაოდენობაში თუ შედის ლიტერატურის ჩამონათვალი?

პასუხი: შეგიძლიათ შეიტანოთ, თუკი ეტევიტ გვერდების ჯამურ დათქმულ რაოდენობაში.

38. გამოყენებული ლიტერატურა და სქოლიო ითვლება თუ არა სიტყვების რაოდენობაში?

პასუხი: დიახ.

39. შესაძლებელია თუ არა ცარიელად დარჩენილი გრაფების წაშლა? მაგალითად თავფურცელში ან CV-ის ფორმაში?

პასუხი: არ არის სასურველი.

40. CV-ის ფორმაში (დანართი N4) ათ მოცემულ გრაფაში უნდა ჩავატოთ პუბლიკაციები თუ შეიძლება გრაფების დამატება და რამდენი გრაფის დამატება შეიძლება?

პასუხი: თუ თქვენ 10-ზე მეტი პუბლიკაცია გაქვთ, შეარჩიეთ და დაასახელოთ 10 ყველაზე ახალი, მნიშვნელოვანი და მაღალ-ციტირებული პუბლიკაციები. ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ CV-ის სექცია „7.დამატებითი ინფორმაცია“ და დაასახელოთ თქვენი ავტორობით გამოცემული პუბლიკაციების ჯამური რაოდენობა, ციტირების მაჩვენებელი, და ა.შ.

41. შესაძლებელია თუ არა გეგმა-გრაფიკის შევსებისას ერთ ამოცანაზე პასუხისმგებელი იყოს პროექტის ხელმძღვანელი და ძირითადი პერსონალი?

პასუხი: დიახ, საჭიროებისამებრ.

42. გეგმა-გრაფიკში (დანართ 6-ში) არსებულ ამოცანის შესრულების შედეგებში ჩამოთვლილი 4 პუნქტის გარდა თუ შეიძლება სხვა შედეგის მითითება, რომელიც დასკვნით ხასიათს ატარებს?

პასუხი: შეიძლება, შეგიძლიათ გაწეროთ ეს საპროექტო წინადადებაში.

43. ძირითადი პერსონალის დროის რა პროცენტი შეიძლება მოხმარდეს პროექტს, აქ ხომ არ არის დადგენილი ნორმა ან რაიმე შეზღუდვა?

პასუხი: არანაირი ნორმა, ან შეზღუდვა არ არსებობს. შრომის განაწილება უნდა აისახოს პროექტის გეგმა-გრაფიკში.

44. საგრანტო კონკურსში ვმონაწილეობ პირველად, იქნება თუ არა ეს ხელისშემშლელი რომ ვიყო პროექტის ხელმძღვანელი? რა დაწვერო რეზიუმეში, ბოლო სამი წლის განმავლობაში განხორციელებული კვლევითი პროექტის შესახებ?

პასუხი: არა, ეს არ იქნება ხელისშემშლელი. თუ პროექტის ხელმძღვანელისათვის ეს პირველი საგრანტო პროექტია, მან რეზიუმეში უნდა ასახოს მისი მონაწილეობით განხორციელებული კვლევითი საქმიანობა, მინიმუმ სადოქტორო თეზისის პროექტი, რომლის საფუძველზეც მიენიჭა დოქტორის ხარისხი.

45. თანაავტორობით შესრულებული კვლევითი პროექტის შემთხვევაში შესაძლებელია თუ არა მიეთითოს ეს წინა დასრულებული პროექტის აღწერაში?

პასუხი: შესაძლებელია.

46. წამყვანი ორგანიზაციის შესახებ რეზიუმეში რა უნდა დაიწეროს?

პასუხი: მოკლე ინფორმაცია გრანტის მიმღებ ორგანიზაციაში პროექტის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და აპარატურის არსებობის შესახებ.

47. თუ კვლევის დროს გამოიყენება სხვა, არა წამყვანი უნივერსიტეტების ლაბორატორიები, უნდა გახდეს თუ არა ეს უნივერსიტეტები თანამონაწილე ორგანიზაციები?

პასუხი: არ არის სავალდებულო.

საბუთები

48. საჭირო არის თუ არა "წამყვანი და თანამონაწილე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ორგანიზაციის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი და წესდება, ამავე ორგანიზაციების საბანკო ანგარიშის ნომერი, რომელზეც ჩაირიცხება გრანტის თანხა?

პასუხი: თუ ორგანიზაცია წარმოადგენს სსიპ-ს (საჯარო სამართლის იურიდიულ პირს) ორგანიზაციის წესდებისა და საბანკო ანგარიშის წარმოდგენა საჭირო არ არის.

49. სსიპ-ებმა რა დოკუმენტი უნდა წარმოადგინონ?

პასუხი: მხოლოდ საბანკო რეკვიზიტები.

50. შესაძლებელია თუ არა თანამონაწილე ორგანიზაცია იყოს ‘ სსიპ მუნიციპალიტეტი’ ან ‘რეგიონალური გუბერნატორის ადმინისტრაცია’?

პასუხი: თანამონაწილე ორგანიზაციას წესდებით უნდა ქონდეს განსაზღვრული სამეცნიერო კვლევები.

51. დოქტორანტმა უნდა წარმოადგინოს თუ არა მაგისტრატურის ან ხუთწლიანი დიპლომი?

პასუხი: არ არის სავალდებულო, საკმარისია ცნობა დოქტორანტურაში სწავლის შესახებ.

ბიუჯეტი

52. რა განსხვავებაა პროექტის საერთო ბიუჯეტსა და ფონდიდან მოთხოვნილ თანხას შორის?

პასუხი: პროექტის საერთო ბიუჯეტში, გარდა ფონდიდან მოთხოვნილი თანხისა, შედის თანადაფინანსებაც (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

53. ხელფასების განაწილებისას 60%-ში იგულისხმება, როგორც ძირითადი პერსონალის ანაზღაურება, ისე დამხმარე პერსონალის ანაზღაურება?

პასუხი: დიახ. განაწილებისას 60%-ში იგულისხმება ძირითადი პერსონალის საგრანტო დაფინანსებისა და დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურების ჯამი. (იხ. კონკურის პირობები, მუხლი 4, პუნქტი 5).

54. ხელფასის ჯამური რაოდენობა (45%) რომელი დაფინანსებიდან იანგარიშება, ფონდიდან მოთხოვნილი დაფინანსებიდან თუ პროექტის საერთო ბიუჯეტიდან, რომელშიც თანადაფინანსებაც შედის?

პასუხი: ფონდიდან მოთხოვნილი თანხიდან.

55. შრომით ანაზღაურებაზე დაწესებული ზედა ზღვარი მოხსნილია?

პასუხი: დიახ, შრომის ანაზღაურების ზედა ზღვარი მოხსნილია.

56. როდესაც ამოცანის შესრულებაზე პასუხისმგებელია 1 პირი, ეს გავლენას მოახდენს თუ არა იმ პერიოდში სხვა პერსონალის ხელფასზე?

პასუხი: არა.

57. ძირითადი და დამხმარე პერსონალის რაოდენობრივი თანაფარდობა ხელფასების რაოდენობა როგორაა განსაზღვრული?

პასუხი: ამ შემთხვევაში შეზღუდვა არ არსებობს.

58. ხელფასის შეზღუდვა თუ არის დამხმარე პერსონალისთვის?

პასუხი: არა.

59. ბიუჯეტის შენიშვნებში მითითებულია, რომ დამხმარე პერსონალი შეიძლება იყოს კონსულტანტი. ამავდროულად, კონსულტანტის ანაზღაურება გათვალისწინებულია მომსახურების ხარჯში. ეს როგორ გავარკვიოთ?

პასუხი: კონსულტანტი ვერ იქნება პროექტის ხელმძღვანელი და მასთან დაკავშირებული ხარჯები უნდა აისახოს სექციაში: „4. საქონელი და მომსახურება“.

60. კვლევისათვის საჭირო რეაქტივების შეძენასთან დაკავშირებული ხარჯები ბიუჯეტის რომელ ნაწილში ავსახო, თუ ამ რეაქტივების ფასი აღემატება 1000 ლარს?

პასუხი: რეაქტივების შეძენასთან დაკავშირებული ასახეთ სექციაში „4. საქონელი და მომსახურება“ .

61. შესაძლებელია თუ არა მივლინების დაგეგმვა?

პასუხი: დიახ, საგრანტო დაფინანსება დაფარავს მივლინების ხარჯებს. ბიუჯეტში მივლინება უნდა აისახოს სექციაში „3. მივლინება.“

62. ბიუჯეტის რომელ ნაწილში ვიანგარიშოთ რეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალში სტატიის პუბლიკაციის ხარჯები, თუ იგი აღემატება 500 ლარს?

პასუხი: პუბლიკაციის ხარჯები ასახეთ სექციაში „4. საქონელი და მომსახურება“ .

63. სამეცნიერო სტატიის და გამოგონების პატენტის წარდგენაც მომსახურების ხარჯში ითვლება?

პასუხი: სტატიის გამოქვეყნების ხარჯი უნდა ასახოთ სექციაში „4. საქონელი და მომსახურება“. ხოლო პატენტთან დაკავშირებული ხარჯის ნაწილი, რომელიც დაკავშირებულია საპატენტო განაცხადის გაკეთებასთან, ანაზღაურდება საქონელი და მომსახურების მუხლიდან, ხოლო უშუალოდ პატენტის მიღებასთან დაკავშირებული ხარჯი ანაზღაურდება ძირითადი აქტივების მუხლიდან. შესაბამისად, მიზანშეწონილია პატენტის მიღებასთან დაკავშირებული ხარჯი გათვალისწინებული იქნას როგორც საქონელი და მომსახურების, ისე ძირითადი აქტივების მუხლში.

64. კომპიუტერის, ნოუტბუქის, სკანერის შეძენასთან დაკავშირებული ხარჯები საქონელსა და მომსახურებაში ავსახოთ თუ კაპიტალურ ხარჯებში?

პასუხი: თუ რომელიმე მათგანის ფასი აღემატება 500 ლარს ასახეთ სექციაში „5. ძირითადი აქტივები“, მაგრამ თუ 500 ლარზე ნაკლებია - სექციაში „4. საქონელი და მომსახურება“.

65. წინა წლებში გამოცხადებული ფუნდამენტური კვლევების კონკურსი არ ითვალისწინებდა თანადამფინანსებელს. ახალი მოთხოვნებით ეს სავალდებულოა?

პასუხი: არა, თანადამფინანსება სავალდებულო არ არის, მაგრამ ნებადართულია. (იხ.. კონკურსის პირობები, მუხლი 3, პუნქტი 12).

66. გრანტი დაფარავს თუ არა საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოების (დარგობრივი) საწევრო გადასახადის, თუ კი, რომელ ხარჯვით კატეგორიაში უნდა ავსახო?

პასუხი: დიახ, დაფარავს. ხარჯის გათვალისწინება შესაძლებელია მოხდეს ბიუჯეტის სექციაში „4. საქონელი და მომსახურება“ .

67. საკონფერენციო სარეგისტრაციო გადასახადი გადის თუ არა მივლინების მუხლში?

პასუხი: დიახ.

68. როგორ უნდა იყოს მითითებული ბიუჯეტში, მივლინების ხარჯვით კატეგორიაში რამდენიმე ადამიანის მივლინება სხვადასხვა ადგილზე (მაგ. სხვადასხვა ქვეყანაში), დღეთა განსხვავებული რაოდენობით?

პასუხი: მივლინების მუხლში კონკრეტული პიროვნებების დასახელება საჭირო არაა, უნდა მიეთითოს პიროვნებების რაოდენობა რომელთა მივლინებაც განხორციელდება პროექტის მიმდინარეობისას. რაც შეეხება მივლინებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა ლიმიტებს, მიუთითეთ საშუალო ლიმიტი რომელიც შესაბამისობაში მოიყვანს პიროვნების რაოდენობის, მივლინების დღეებისა და ამ საშუალო ლიმიტის ნამრავლს მივლინების ფარგლებში მოთხოვნილ მთლიან თანხასთან.

69. ბიუჯეტის შევსებისას, რამდენად დეტალურად უნდა მოხდეს საქონელი და მომსახურების მუხლში და ძირითადი აქტივების მუხლში ხარჯების ჩაშლა?

პასუხი: „საქონელი და მომსახურების მუხლში უნდა დაემატოს გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცებული დანართი N13-ით გათვალისწინებული შესაბამისი ქვეკატეგორიები და ქვეკატეგორიებში შემავალი კონკრეტული ხარჯები, რომელთა გაწევაც იგეგმება საგრანტო პროექტის განხორციელებისას (მაგალითად: ოფისის ხარჯები: საკანცელარიო საქონელი, კომპიუტერული ტექნიკა, საოფისე ავეჯი). ხოლო ძირითადი აქტივების მუხლის შევსებისას უნდა ჩაიწეროს აქტივების ჩამონათვალი ვიწრო სპეციფიკაციების მითითების გარეშე. (მაგალითად: კომპიუტერი, ფოტოაპარატი, ხმის ჩამწერი აპარატურა).

70. როგორ გადავიხადო მაღალრეიტინგულ ჟურნალში პუბლიკაციის თანხა?

პასუხი: პუბლიკაციის თანხა უნდა აისახოს „საქონელი და მომსახურების“ მუხლში, გადარიცხვასთან დაკავშირებულ დეტალები უნდა დაზუსტდეს წამყვანი ორგანიზაციის საფინანსო დეპარტამენტთან.

71. აუცილებელია საქონლის ტენდერით შეძენა?

პასუხი: საქონლის შეძენა ტენდერით ყველა შემთხვევაში სავალდებულო არ არის. საქონლის შეძენის პროცედურები განისაზღვრება გრანტის მიმღების იურიდიული სტატუსისა და შესყიდვებთან დაკავშირებული კანონმდებლობით.

72. სად უნდა გაიწეროს თარჯიმნის მომსახურების ხარჯის ანაზღაურება?

პასუხი: თარგმნასთან დაკავშირებულ ხარჯი უნდა გაიწეროს საქონელი და მომსახურების მუხლში.

73. შეიძლება თუ არა პროექტის კონსულტანტის (უცხოეთის მოქალაქე) საქართველოში ვიზიტის დაფინანსება და არის თუ არა ლიმიტი მისი მომსახურების ანაზღაურებაზე „საქონელისა და მომსახურების“ ხარჯვით კატეგორიაში?

პასუხი: ვიზიტის დაფინანსება შესაძლებელია. ამ შემთხვევაში შესაძლოა ანაზღაურდეს კონსულტანტის ტრანსპორტირებასა და სასტუმროზე გაწეული ხარჯები. მისი მომსახურებაზე გაწეულ ხარჯებზე ლიმიტი არ არსებობს.

74. შესაძლებელია თუ არა ლაბორატორიის მოწყობილობის ინსტალაციისათვის საჭირო პერსონალის ხარჯის ანაზღაურება? ასეთი შესაძლებლობის შემთხვევაში, სად გაიწერება ეს ხარჯები ბიუჯეტში?

პასუხი: აღნიშნული ხარჯის გათვალისწინება შესაძლებელია საქონელი და მომსახურების მუხლში. (ეს ხარჯი არ უნდა გულისხმობდეს შენობის კაპიტალურ რემონტს)

75. რა ოდენობის უნდა იყოს „ზედნადები ხარჯები“ და რას გულისხმობს იგი?

პასუხი: „ზედნადები ხარჯების“ მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს ფონდიდან მოთხოვნილი თანხის 7%-ს. ზედნადები ხარჯები გულისხმობს პროექტის ტექნიკური უზრუნველყოფისთვის საჭირო წამყვანი და თანამონაწილე ორგანიზაციის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიერ გასაწევ არაპირდაპირ ხარჯებს (დეტალები იხ. ფონდის გენერალური დირექტორის N13 დანართში).

76. როდესაც წამყვანი და თანამონაწილე არის ერთ უნივერსიტეტში შემავალი ორი სხვადასხვა ინსტიტუტი, ამ შემთხვევაში როგორ იქნება წამყვანი ორგანიზაციის საკითხი (ზედნადები ხარჯები როგორ ნაწილდება)?

პასუხი: თუ ორივე ორგანიზაცია შედის ერთ უნივერსიტეტში, მაშინ წამყვანი ორგანიზაცია არის ეს კონკრეტული უნივერსიტეტი, აქედან გამომდინარე, ზედნადები ხარჯი ეკუთვნის უნივერსიტეტს.

77. არაფულადი დაფინანსება თუ შეიძლება?

პასუხი: არ შეიძლება

78. რა არის ინსტიტუციონალური დაფინანსება?

პასუხი: ეს ნიშნავს, რომ დაფინანსება და ანგარიშსწორება ხდება წამყვანი ორგანიზაციის საშუალებით და გრანტის მიმღები მეცნიერთა ჯგუფის გარდა გახლავთ აგრეთვე წამყვანი ორგანიზაცია.

79. ბიუჯეტის დასაბუთებისას საჭიროა თუ არა თითოეული მონაწილის ანაზღაურების დასაბუთება?

პასუხი: დიახ

80. ბიუჯეტის ცხრილში ბევრი უჯრა საერთოდ არ გვჭირდება და რა ვუყოთ ამ უჯრებს?

პასუხი: უნდა დატოვოთ შეუვსებელი.

უცხოელი კონსულტანტი

81. უცხოელი კონსულტანტის ყოლა რამე ტიპის უპირატესობას იძლევა შეფასების პროცესში?

პასუხი: უცხოელი კონსულტანტის არსებობამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს შეფასებაზე, კერძოდ 2.3 კრიტერიუმზე.

82. უცხოელ პროფესორს თუ შეუძლია მონაწილეობა პროექტში, როგორც კვლევის ერთ-ერთ მონაწილეს, ან როგორც კოლაბორანტს, ან დამხმარე პერსონალს ან საერთოდ რა სტატუსით შეუძლია მონაწილეობა?

პასუხი: უცხოელ პროფესორს არ შეუძლია იყოს ფუნდამენტური კვლევების საგრანტო პროექტის ძირითადი ან დამხმარე პერსონალი. მიმდინარე კონკურსი არ ითვალისწინებს კოლაბორანტის ყოლასა და უცხოეთის მოქალაქეებისათვის ხელფასის გაცემას. უცხოელი პროფესორი შეიძლება იყოს კონსულტანტი და მასთან დაკავშირებული ხარჯები შეიძლება აისახოს ბიუჯეტის სექციაში „4. საქონელი და მომსახურება“.

83. შეიძლება თუ არა პროექტის ფარგლებში დაფინანსდეს უცხოელი კონსულტანტის ვიზიტი საქართველოში (და პროექტის ბიუჯეტის რომელ ხარჯვით კატეგორიაში შევა)?

პასუხი: შეიძლება, კონსულტანტთან დაკავშირებული ხარჯები უნდა აისახოს საქონელი და მომსახურების კატეგორიაში.

84. შეიძლება თუ არა პროექტს ერთდროულად ჰყავდეს 2 უცხოელი კონსულტანტი?

პასუხი: დიახ, თუ ბიუჯეტი ამისთვის გეყოფათ.

85. შეიძლება თუ არა სამწლიან პროექტში უცხოელი კონსულტანტი გვყავდეს მხოლოდ ერთი წლით?

პასუხი: დიახ. პროექტის მიზნებიდან გამომდინარე.

86. შეიძლება თუ არა სამწლიან პროექტში ერთი წლით გვყავდეს ერთი უცხოელი კონსულტანტი და მეორე წელს სხვა, ასევე უცხოელი?

პასუხი: დიახ, პროექტის მიზნებიდან გამომდინარე.

87. აუცილებელია თუ არა უცხოელი კონსულტანტის ჩამოსვლა?

პასუხი: არ არის აუცილებელი

88. შეიძლება თუ არა უცხოელ კონსულტანტს დაენიშნოს ყოველთვიური ანაზღაურება, ცხადია, იმ პერიოდის განმავლობაში, სანამდეც გაგრძელდება მისი კონსულტანტობა?

პასუხი: არა, უცხოელი კონსულტანტი არ წარმოადგენს პროექტის პერსონალს. საკონსულტაციო მომსახურება პროექტის საჭიროებისამებრ უნდა იყოს დაგეგმილი და დასაბუთებული. ეს შეიძლება იყოს პერიოდულად, მაგალითად თვეში ერთხელ ან რამდენიმეჯერ, სანგარიშო პერიოდში ერთხელ ან რამდენიმეჯერ, ანაზღაურდეს საათებით ან დღეებით. კონსულტანტთან დაკავშირებული ხარჯები აისახება „საქონელი და მომსახურების კატეგორიაში.“

89. კონსულტანტის ჰონორარი შეზღუდულია თუ არა?

პასუხი: არ არის შეზღუდული.

90. ხომ არ არის განსაზღვრული უცხოელი კონსულტანტის საკონსულტაციო მომსახურების საათობრივი ან დღიური ნიხრი?

პასუხი: არა, ნიხრი განსაზღვრული არ არის. პროექტში უნდა აისახოს კონსულტაციის მნიშვნელობა კვლევისათვის და პროექტის წარმატებისათვის ასევე დასაბუთებული იყოს ხარჯების რელევანტურობა.

პუბლიკაცია

91. პროექტის ფარგლებში ვაპირებთ გამოვცეთ წიგნი, სავალდებულოა სტატიის გამოქვეყნება?

პასუხი: კონკურსის სავალდებულო პირობაა პროექტის ფარგლებში განხორციელებული კვლევის შესახებ გამოქვეყნდეს მინიმუმ ერთი ორიგინალური სტატია საერთაშორისო რეფერირებად და ციტირებად ჟურნალში (იხ. კონკურსის პირობები, მუხლი 3, პუნქტი 15). წიგნის გამოცემას კონკურსი არ გავალდებულებთ.

92. შესაძლებელია, რომ ძირითადი პერსონალის შერჩეულმა ნაწილმა გამოაქვეყნოს სტატია, თუ ყველამ?

პასუხი: სტატიის ავტორები უნდა განისაზღვროს კვლევაში შეტანილი წვლილის გათვალისწინებით. წიგნის გამოცემას კონკურსი არ გავალდებულებთ.

93. პუბლიკაციის ინგლისურად თარგმნისათვის საჭირო ხარჯი შეიძლება თუ არა რომ აისახოს ბიუჯეტში?

პასუხი: დიახ. პუბლიკაციის მომზადებასთან დაკავშირებული ხარჯები უნდა ასახოთ სექციაში „4. საქონელი და მომსახურება“ .

94. თუ პუბლიკაციები წარმოდგენილია რუსულ ენაზე, სათაურები უნდა ითარგმნოს ქართულად თუ ინგლისურად?

პასუხი: საკმარისია მხოლოდ ინგლისური თარგმანი.

95. თუ სტატიები მხოლოდ ქართულ ენაზეა გვაქვს როგორ უნდა მიეთითოს ისინი?

პასუხი: საჭიროა ამ (ქართული) სტატიის მოკლე რეზიუმე ინგლისურად.

პროექტების შეფასება

96. CRDF Global -ს ჰყავს თუ არა ქართველი ექსპერტები?

პასუხი: ფონდის თანამშრომლებს არა გვაქვს ინფორმაცია ექსპერტთა ვინაობისა და ეროვნების შესახებ

97. თუ პროექტი ტექნიკური მიზეზით (გაუმართაობის გამო) მოიხსნება, მაშინ ხელმძღვანელს ექნება თუ არა შეზღუდვა მომავალ წელს პროექტის წარდგენაზე?

პასუხი: არა.

საგრანტო ხელშეკრულება და მონიტორინგი

98. კატეგორიაში 'საქონელი და მომსახურება' სახელშეკრულებო სამუშაოები არის ყოველთვის. როგორ უნდა მოხდეს ანაზღაურება?

პასუხი: უნდა გაფორმდეს შუალედური მიღება-ჩაბარების აქტები.

99. 50000 ლარიდან ხელფასის სახით შეიძლება მოთხოვნილი იქნას 30000 ლარი. დანარჩენი 20000 უნდა გაიხარჯოს სხვა მიზნებით. თუ ამ 20000 -დან რაღაც ნაწილის ათვისება ვერ მოხდება, მაგ. 2000 ლარს, მაშინ ხელფასს დააკლდება თუ არა?

პასუხი: უკვე დაფინანსებულ პროექტში სახელფასო ფონდს არაფერი დააკლდება.

100. ვინ აფორმებს შრომით ხელშეკრულებას დამხმარე პერსონალთან, მათ შორის კონსულტანტთან?

პასუხი: წამყვანი ორგანიზაცია

101. შეიძლება თუ არა, რომ ძირითადი და დამხმარე პერსონალის ხელფასი შეიცვალოს რომელიმე საანგარიშო პერიოდში შესასრულებელი სამუშაოების მოცულობის გაზრდასთან დაკავშირებით?

პასუხი: დიახ.